

თბა კობახიძე

წმინდა იოანე და გელაზნიუს სავანე.

ქართლის სამეფოს დედაქალაქის მცხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდინარე არაგვის მარცხენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 1350 მ-ის სიმაღლეზე აღმართულია საგურამოს ქედის ერთ-ერთი მწვერვალი – დიდებული გელაზნიუს მონასტერი.

უძველეს წსრულში მეფე ფარნაჯომის (112-99 წ.წ. ქრისტეშობამდე) ბრძანებით ქედზე ზაღენის რისხვისმფრქვეველი კერპი აღუმართავტ. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით „აღაშენა ციხე და მეფემან ფარნაჯომ და აღმართა მუნ კერპი ზაღენი, და ამითი ეწოდა მთას ამას ზედა ზაღენი.“⁴¹ ამრიგად, სახელწოდება გელაზნიუს ანუ ზედა ზაღენი წარმართული სამყაროდან მოდის. ზაღენის კერპს შიშით ეთაყვანებოდნენ ‘თვით მეფე და დიდებულნი და მცირებულნი;“ ასე იყო ქართლის გაქრისტიანებამდე.

IV საუკუნის დასაწყისში წმინდა ნინოს ლოცვითა და მხსნელი ქადაგებებით მეფე მირიანი და დედოფალი ნანა დასცილდნენ კერპთაყვანისმცემლობას. 326 წელს აღმოსავლეთმა საქართველომ ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად აღიარა.

VI საუკუნის I ნახევარი კი უმძიმესი პერიოდი იყო ახალმოქცეული სამეფოსათვის. სპარსეთის შემოსევებმა, რომელთა მიზანი ქვეყანაში ქრისტიანობის აღმოფხვრას და ზოროასტრიზმის აღორძინებას შეადგენდა, სერიოზული საფრთხე შეუქმნა ართველთა აღმსარებლობას.

მეფე ფარსმან VI, „ფარსმან სხუა“ (როგორც მას მაგინე უწოდებს) ღმრთისმოშიში იყო. ქვეყანას მძიმე პერიოდი ჰქონდა და მეფე და კათალიკოსი ევლაგიოზი, დიდი ძალისხმევის მიუხედავად, უძლურ იყვნენ ზოროასტრიზმთან საბრძოლველად.

ქრისტიანობას ხსნად სირიელი წმინდა მამები მოველინენ. ‘ქართლის ცხოვრების“ მიხედვით „ფარსმანის-ზე მოვიდა იოვანე შუამდინარით, რომელა ეწოდა გელაზნიელი“⁴² სწორედ იოვანე წინამძღვრობდა ანგელოზის მიერ რჩეულ ქართიათა მფლობელ 12 სირიელ მამას, „რომელნიც ძლიერ, ურყევ სვეტად ექნენ ქართულ ეკლესიას. მათი მობრძანება დიადი გარდამავალი ეპოქა იყო ეკლესიის კეთილმდგომარეობისაკენ. მათი ქრისტიანული ღვაწლის წყალობით“... ართული მონაზვნობა გზამკვლევი ვარსკვლავად ბრწყინავს ჩვენი ისტორიის ბნელ ფურცლებზე“⁴³

ქართლში მობრძანებამდე წმინდა იოანე, ანგიოქიის მახლობლად მდებარე დიდ მონასტერს წინამძღვრობდა. საეკლესიო მაგნიანეებისა და სვინაქსარების მიხედვით ნათელი ხდება, რომ მას უფლის ანგელოზმა მიუთითა გზა ართლიაკენ. ანგელოზის ნებითვე შეირჩა თორმეტი მამა, რომელნიც მორჩილებითა და სასოებით გამოჰყვნენ მოძღვარს შორეულ სამეფოსკენ.

ქართლში მობრძანებულმა სირიელმა ბერებმა გელაზნიუს მთას მიაშურეს. ოთხი წლის ერთად მოღვაწეობის შემდგომ, იოანემ მოწაფეები დამოძღვრა და სხვადასხვა მხარეს „განუტევა“, თავად კი გელაზნიუსზე დამკვიდრდა. მას

ქართველთა მაგიანე დიდებულად მოიხსენიებს. იგი იყო დიდი ქრისტიანი, 'განმანათლებელი ართლისა და განმწმენდელი სჯულისა, მაშენებელი ეკლესიათა, რომელმან ქმნა ნიშები და სასწაულები მრავალი, ... განაკურენის ყოველნი ქართველნი'."⁴

წმინდა იოანემ 30 წელი გაატარა პატარა ქვაბულ-სენაკში. ნეტარის სიცოცხლეშივე მისმა მოწაფემ, თაღეომმა, იგივე თათემ, ზედაზნის მთის ძირას დააარსა მონასტერი – ქვემო ზადენი.⁵ არღაცვლილი წინამძღვარი, საკუთარი ნების წინააღმდეგ (იგი ქვაბულში დაკრძალვას ბრძანებდა), სწორედ თათეს მიერ აშენებულ მონასტერში დაკრძალეს. (მოწაფეებმა უღირსად შერაცხეს მოძღვრის მიერ მითითებული ადგილი). სვინაქსარის მიხედვით, მოხდა სასწაული, მიწა იძრა და შემოფოთებული მოწაფენი იძულებულნი გახდნენ ცხედარი გადაესვენებინათ.

იოანეს წმინდა სხეულის დაფულის ადგილას დარბაზული ეკლესია ააგეს.

ჩვენს დრომდე მოღწეული ბაზილიკა კი წმინდა იოანე ნათლისმცემლის ახელობისაა. იგი კათალიკოსმა კლიმენტოსმა ააშენა 760-70-იან წლებში, დარბაზული ეკლესიის საფუძველზე.

ბაზილიკა სამნავიანია და რიყისა და ნაგეხი ქვისგანაა ნაგები. ნაგები ერთმანეთისგან წყვილ ბურჯზე გადაყვანილი თაღებით გამოიყოფა. წმიდა იოანეს საფლავის ეკვდერი ჩრდილოეთის ნაგშია ჩართული. იგი ნავის აღმოაგლეთ ნაწილს არმოადგენს. ეკვდერს მართკუთხა გეგმის კონქიანი საკურთხეველი აქვს. თლილი ქვის კამარა და გრიუმფალური თაღი ნაღოსებული ფორმისაა, წმიდა მამის საფლავი ნაწილობრივ ჩრდილოეთის ნავის საკურთხეველშია განთავებული.

იოანეს საფლავი 1955წ. ბაზალტის ფილებით მოაპირკეთეს. იგი რამდენჯერმე განაახლეს XVII-XIX საუკუნეებში. ერთ-ერთი სარემონტო სამუშაოს დროს, საფლავში ჩააშენეს VII საუკუნის რელიეფური ფილის ფრაგმენტი, რომელიც მონასტრის პირველი წინამძღვრების გამოსახულებებს შეიცავს. იგი ამჟამად ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

ინტერიერში კანკელთან დაკრძალულია ელია დიაკონი. აქვე აღვნიშნავ, რომ სირიიდან იოანეს წინამძღოლობით არა ცამეტი, არამედ თოთხმეტი მამა მობრძანდა. ცამეტი მათგანის ახელი და ღვაწლი საქვეყნოდ ცნობილია. მეთოთხმეტეს, ელია დიაკონს, მონასტერი არ დაუარსებია. იგი იოანეს გვერდით იყო მუდამ, დამოუკიდებლად არ მოღვაწეობდა, მოძღვართან დარჩა ზედაზნის მთაზე. საართველოს სამოციქულო ეკლესია მას 13 სირიელ მამათა შორის არ მოიხსენიებს. წმიდა იოანეს აღსრულების შემდეგ ელია იქცა მონასტრის წინამძღვად. იგი აქვე აღესრულა.

იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის თავდაპირველი შესასვლელი სამხრეთის ფასადზეა გაჭრილი. სამხრეთ ნაგში, აღმოსავლეთით, უაბსიდო ოთხკუთხა კვადრატული ფორმის სათავსია. ბაზილიკის მშენებლობისას დასავლეთი კედელი მოშალეს და ძველი ნაგებობა ამგვარად დააკავშირეს ახალთან.

ფასალები მწირი ღეკორით ხასიათება. აღმოავლეთი ფასადის შუა სარკმელის თავს ჯვრის რელიეფი ამშვენებს. აყვავებული ჯვრის რელიეფური კომპოზიციითაა ამავე ფასადზე ბემოთ, ფრონტონის მონაკვეთში. სადა თავსართი აქვს საფლავის ეკვლერის სარკმელს. ნაგებობის დანარჩენი ფასალები მოურთავია.

სადა მორთულობით გამოირჩევა ინტერიერიც. ჩრდილოეთ კედელზე მეტად დამიანებული უძველესი მხატვრობის ნაშთები შეინიშნება.

კანკელი XI საუკუნის პირველი ნახევრისაა და მისგან მხოლოდ ორი რელიეფური ფილა შემორჩა. ერთ-ერთ მათგანზე წმინდა სიმეონ მესვეტეა გამოახული, მეორე ფილა კი კახეთის მეფე კვირიკესა და ოსეთის მეფე ურდურეს რელიეფურ გამოსახულებებს წარმოადგენს.

ბაზილიკის ინერიერში, ჩრდილოეთის ნავის დასავლეთ ნაწილში ჭაა ჩატრილი. ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებს, რომ „ამ ეკლესიის კამარიდან სწვეთს წყალი და უდგას ქვემოთ ავაზანა ქვისა და შეიკრიბვის მას შინა, არა გარდმოედინების და არცა აღმოვსებით მოაკლდების უკმთუ აღმოილო რითიმე და ჰკურნებს სენთაცა“.⁶ მისს, მწუხრზე იწყებს ღენას წყარო, ეს პროცესი მეორე ღღის საღამომდე გრძელდება.

მონასტრის სამხრეთ-აღმოსავლეთით ქვაბული ენაკებია მეუღაბნოე ბერთათვის.

ასწლეულთა მანიძლზე ზედაზნის მონასტერმა მრავალი განახლება-შეკეთება განიცადა. IX საუკუნისაა სახრეთის კარიბჭე. იგი მონასტრის წინამძღვრის – გაბრიელის მეოხებით აიგო, ხოლო ქვიშა-ქვის კვადრებით კი მოგვიანებით მოაპირკეთეს. 1705-25 წლებს შორის, კათალიკოს ღომენგის ბრძანებით კარიბჭეზე აგურის სამრეკლო დაამენეს. მარეკლო პირამიდისებური გადახურვის მქონე რვაწახნაგა თაღებიან ნაგებობას წარმოადგენს.

1888 წელს ეგვარხოხს პალადის ბრძანებით, ზედაზნის ეკლესიის წინამძღვრად ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე დაინიშნა. 1889წ. მან განაახლა ბაზილიკა.

1932-1946 წლებში ზედაზნის მონასტერში მახურობდა ექვთიმე კერესელიძე. აქ მობრძანებამდე იგი სვეტიცხოველში მოღვაწეობდა. მამა ექვთიმე წერდა საგალობლებს, მუშაობდა საუკუნის აეკლესიო კალენდრის შედგენაზე, მას სტამბის გახსნაც ჰქონია განზრახული. გარდაიცვალა მცხოვანი და მონასტრის სახრეთ კედელთან დაკრძალეს.

1994-95წწ. შენობის კედლები შიგნიდან თითქმის მთლიანად შელესე.

ზედაზნის მონასტერში, ბაზილიკის დასავლეთით 1992-95წწ. ბერთა საცხოვრებელი ნაგებობა ააგეს.

მონასტრის ტერიტორია გალაგნიითაა შემოსაზღვრული. გალაგანი სამი მხრიდან შემოსაზღვრავს ზედაზნის მონასტერს, ხოლო სამხრეთის მხარეს ფრიალო კლდეა. ჩრდილოეთით გალაგანზე თაღოვანი შესასვლელია გაჭრილი. ზედაზნის ციხე-სიმაგრე ძველად კახეთის ჭიშკარს წარმოადგენდა. დავით აღმაშენებელმა ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლისას მიიტანა იერიში, აიღო და მასზე ღროშა აღმართა.

მეღაზნის სავანე წმინდა სალოცავია. იგი საქართველოს ისტორიის დიდებული ფურცელია. მისი დამაარსებელი წმიდა იოანე და მისი მოწაფეები იყვნენ საქართველოში სამონაზვნო ცხოვრების დამკანონებელი და დამაარსებელი.⁷ ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ იოანე წმინდანად შერაცხა და მას 7 (ახ.ს.გ.20) მაისს მოიხსენიებს. ეს დღე სამონასტრო ღვთადასწავლად იქცა. მეღაზნებზე, საუკუნეთა მანძილზე, გაგს იყრია მრავალი მლოცველი. ცნობილია, რომ წმიდა ილია მართალი თითქმის ყველა ზეღაზნობას⁸ ესწრებოდა.

მეღაზნის მონასტერი სამკვიდრებელი იყო იმ დიდ მოღვაწეთა, რომელთაც ქართული მაგინე ათცამეგ ასურელ მამას უწოდებს და რომელნიც სახელ კრავსა შორის მგელთასა⁹ გვით უფალმა მოავლინა ხსნად ჩვენდა.

თეა კობახიძე

Резюме

В статье изложены жизнь и христианский подвиг великого св. отца-пустынника преподобного Иоанна Зедазенского, старца-учителя сирийских отцов.

По воле Богоматери, цвятой монах отправился из Атиохийского монастыря в Каргли для укрепления христианства.

Св. Иоан, выбрав для собственной монашеской жизни Зедазенскую гору, направил своих учеников – монахов в разные уголки восточной Грузии. Святые отцы своей примерной христианской жизнью спасли государство от утраты истинной веры.

Иоан Зедазенский считается основателем и законоположителем иноческого жития в Грузии.

В статье также содержится обзор истории и современного вида Зедазенского монастыря, основателем которого является святой сирийский монах.

შენიშვნები:

1. ვახუშტი ბაგონიშვილი „საქართველოს გეოგრაფია“ თბ.1997 გვ.94 (25-30).

2. „ქართლის ცხოვრება“ დედოფლისეული ნუსხა. 1942წ.

3. Еп. Кирион – Заслуги грузинского монашества и монастырей.

4. „ქართლის ცხოვრება“ -ჯუანშერი ‘ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა’.1924წ.

5. შესაძლოა, სწორედ იმ ეკლესიის ნაშთი იყოს ცვენამდე მთლიანად დანგრეული სახით მოღწეული ქასური წმიდა გიორგის ეკლესია.

6. ვახუშტი ბაგრატიონი – საქართველოს გეოგრაფია ‘აღწერა პერეთისა, კახეთისა და კუხეთისა, კვალად თუშეთისა და დიდოეთისა. თბ. 1997წ. 94(25,30).

7. Еп. Кирион – Заслуги грузинского монашества и монастырей.